A ნაწილი – ეს ერთი კითხვა სავალდებულოა

1-ლი კითხვა

„ზღვის ნიჟარები“ ევროპის კონტინენტის მახლობლად ერთ-ერთ კუნძულზე მდებარე პატარა, კერძო კომპანიაა, რომელსაც 25 აქციონერი ჰყავს. კომპანიის აქციები არც ერთ საფონდო ბირჟაზე არ იყიდება. „ზღვის ნიჟარების“ ძირითად აქციონერებს კომპანიის ხელმძღვანელის ნათესავები და ის კერძო ინვესტორები წარმოადგენდნენ, რომელთაგან კომპანიის ხელმძღვანელმა საჭირო თანხები მოიზიდა, რის შემდეგაც, მათ წილი შეინარჩუნეს. სააქციო კაპიტალის 25 %-ს კომპანიის საბჭოს ამჟამინდელი წევრები ფლობენ.

მიუხედავად იმისა, რომ „ზღვის ნიჟარები“ კერძო კომპანიაა, მისი საბჭო კორპორაციული მართვის პრინციპებზე დაყრდნობით შეიქმნა. საბჭოში დირექტორთა ნახევარი აღმასრულებელია, ხოლო ნახევარი – არააღმასრულებელი, რომლებიც დიდი ბრიტანეთის მართვის კოდექსის თანახმად, დამოუკიდებელნი არიან. საბჭოს ექვემდებარება, ასევე, თანამდებობაზე წარდგენის, ანაზღაურებისა და აუდიტის კომიტეტები, რომელთა წევრებს არააღმასრულებელი დირექტორები წარმოადგენენ.

„ზღვის ნიჟარების“ მთავარ საქმიანობას ზღვის პროდუქტების (თევზი, ხამანწკები, კიბორჩხალები და სხვ.) შეფუთვა და მათი სუპერმარკეტებისათვის და სხვა საცალო მოვაჭრეებისათვის მიწოდება წარმოადგენს. კომპანიაში 750 ადამიანია დასაქმებული, რომლებიც, ძირითადად, შეფუთვის განყოფილებაში მუშაობენ. დიდია მუშახელის მნიშვნელობა, თევზის ხელით გაწმენდის, მომზადებისა და სხვა პროცედურების თვალსაზრისით, რაც უშუალოდ შეფუთვამდე ხორციელდება. ზღვის პროდუქტების მიწოდება კუნძულის თევზჭერის საზღვაო ფლოტის მეშვეობით ხორციელდება. თავდაპირველად ფლოტი მრავალ კომპანიას ამარაგდა პროდუქტით, თუმცა მისი რამდენიმე მსხვილი კლიენტი-კომპანიის გაუქმების შედეგად, „ზღვის ნიჟარები“ ფლოტის ძირითადი მომხმარებელი გახდა. არსებობს მოსაზრება, რომ „ზღვის ნიჟარების“ მზარდი მოთხოვნა ზოგიერთი თევზის სახეობის, მასობრივი თევზჭერის შედეგად, გადაშენებას ან მნიშვნელოვნად შემცირებას იწვევს.

ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე, კომპანიის დირექტორებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ზღვის პროდუქტების სხვა ქვეყანაში შეფუთვასთან დაკავშირებით. პროდუქტების გადაზიდვა მაცივრებიანი გემების საშუალებით უნდა განხორციელდეს, ხოლო უცხო ქვეყანაში შეფუთვის შემდეგ ისევ „ზღვის ნიჟარებში“ დაბრუნდეს, რათა მათი ძველებურად გაყიდვა განხორციელდეს. ეს გადაწყვეტილება რაციონალურია, ვინაიდან უცხო ქვეყანის მუშახელთან დაკავშირებული დანახარჯები კუნძულზე არსებული დანახარჯების 1/10-ია. ტრანსპორტირების ხარჯების გათვალისწინების შემთხვევაშიც კი, პროდუქტების შეფუთვა უცხო ქვეყანაში კუნძულთან შედარებით ნახევარი ფასი ეღირება. კომპანიის მხრიდან ამ ნაბიჯის გადადგმის შედეგად, მუშახელი 200 ადამიანით შემცირდება. აღნიშნულ გადაწყვეტილებას კუნძულზე უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. პროფკავშირი (რომელიც თანამშრომელთა ინტერესებს წარმოადგენდა) გაფიცვით დაიმუქრა და განაცხადა, რომ ეს საქციელი ექსპლუატაციის ტიპური მაგალითი იყო. სამაგიეროდ, კომპანიის გადაწყვეტილებას დადებითი რეაქცია მოჰყვა კლიენტთა მხრიდან, რადგან მათთვის არაერთ პროდუქტზე შემცირდა ფასები. გარდა ამისა, კუნძულის მთავრობის წარმომადგენელმა, ერთ-ერთმა მინისტრმა მხარდაჭერა გამოუცხადა ყველა იმ ინიციატივას, რომელიც მომხმარებლისთვის პრო-

დუქტის ფასების შემცირებას გულისხმობს. თუმცა, ამ ნაბიჯის გამო, ხელისუფლება ოპოზიციის კრიტიკის ობიექტად იქცა, რომელიც მთავრობას სამუშაო ადგილების დაკარგვასა და საზღვარგარეთ გადატანაში ადანაშაულებს. აღნიშნული საკითხები მომავალი წლის არჩევნების კამპანიებში იქნება გამოყენებული.

„ზღვის ნიჟარების“ დირექტორები მიღებული გადაწყვეტილების მართებულობაში დარწმუნებულები არიან, რადგან, კომპანიის მთავარი აღმასრულებელი დირექტორის თქმით, გადადგმული ნაბიჯი საუკეთესოა როგორც კომპანიისათვის, ისე აქციონერებისა და დირექტორებისათვის. საქმიანობის ტრანსფერის შესახებ კრიტიკას, კომპანიის საბჭო აღიქვამს როგორც „წუწუნსა და პოლიტიკურ პოზას“. იგი აცხადებს, რომ ტრანსფერის იდეა ძალიან პოლულარულია იმ ქვეყანაში, სადაც ახალი გადაწყვეტილების მიხედვით, პროდუქტის შეფუთვა უნდა განხორციელდეს.

რამდენიმე არააღმასრულებელ დირექტორს ეჭვი შეეპარა გადაწყვეტილების მართებულობაში. ერთ-ერთმა მათგანმა უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან კომპანია კუნძულზე არსებულ გაყიდვებზეა დამოკიდებული, საქმიანობის გადატანა მყიდველის დაკარგვას ნიშნავს. მეორე დირექტორი, კომპანიის საქმიანობის გადატანის შედეგად, „ზღვის ნიჟარების“ გარემოზე დატოვებული კვალით (შეიძლება თუ არა კომპანიის ქმედებები ჩაითვალოს მდგრადად) დაინტერესდა. გარდა ამისა, მისი აზრით, საინტერესოა ასევე ტრანსფერის გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზეც. აღნიშნული დირექტორის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ არსებულ ანგარიშებგების ციფრებზე ტრანსფერის გავლენა მცირეა, საჭიროა გაირკვეს, უნდა აისახოს თუ არა ანგარიშგებაში ტრანსფერის ეკოლოგიური გავლენის შესახებ ინფორმაცია, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიხედვით, თუ ამისათვის ცალკე ანგარიში უნდა შეიქმნას.

აღნიშნულ კითხვებზე მთავარი აღმასრულებელი დირექტორის მიერ გაცემული პასუხები, დირექტორთა ანაზღაურების კუთხით, სრული ჭეშმარიტებაა; დირექტორთა ანაზღაურების მთლიანი პაკეტის 75 % კომპანიის საქმიანობის შედეგებით განისაზღვრება, რომლის ძირითად ელემენტს „ზღვის ნიჟარების“ წმინდა მოგება წარმოადგენს. ანაზღაურების კომიტეტის თავმჯდომარეს სწამს, რომ დირექტორთა პრემიები გარკვეულ რეალურ მაჩვენებლებზე უნდა იყოს დამოკიდებული. მისი აზრით, აქციონერებს სარგებელის ნახვა სურთ, ამიტომ, თუ კომპანია ნახავს სარგებელს, თავისთავად სამართლიანია, რომ ამით დირექტორებმაც ისარგებლონ.“ ანაზღაურების დარჩენილი 25 % ხელფასს უკავშირდება და „ზღვის ნიჟარებთან“ გაფორმებულ 3-წლიან კონტრაქტს ეფუძნება. სხვა სახის, ხელფასისგან დამოუკიდებელი, ანაზღაურება მოიცავს კომპანიის შენატანებს საპენსიო სქემაში და აქციათა ოფციონების პროგრამაში, სადაც განსაზღვრულია 5-წლიანი განაღდების ვადის ოფციონები, რომლებიც 1 წლის წინ დადგენილი აქციის ფასს ეფუძნება.

მთავარი აღმასრულებელი დირექტორის აზრით, საბჭო მაღალი დონის აღმასრულებელი დირექტორებით უნდა იყოს დაკომპლექტებული. მათთვის შეთავაზებული ანაზღაურების პაკეტი კონკურენტებზე მეტი უნდა იყოს, ვინაიდან „ზღვის ნიჟარები“ დახურული ტიპის კომპანიას წარმოადგენს. არსებობს საშიშროება, რომ დირექტორებმა, რომლებიც საკუთარი კარიერის განვითარებაზე ზრუნავენ, გადაწყვიტონ, რომ კარიერული წინსვლა ისეთ კომპანიებში უფროა შესაძლებელი, რომელთა აქციებიც საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე იყიდება, რადგან, ზოგადად, მიიჩნევა, რომ ასეთ კომპანიებში კარიერის განვითარების შესაძლებლობა და, შესაბამისად, ანაზღაურებაც უფრო მეტია. აღნიშნული არგუმენტები ანაზღაურების კომიტეტის მიერ გათვალისწინებულ იქნა, რის შედეგადაც, დირექტორთა ანაზღაურების პაკეტში არაერთი პუნქტი შემუშავდა, რომელიც დირექტორთა „ზღვის ნიჟარებთან“ ხანგრძლივ თანამშრომლობას უზრუნველყოფს.

ბოლო პერიოდში, „ზღვის ნიჟარების“ საბჭოში ორი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. ფინანსური დირექტორი თანამდებობიდან წავიდა, ხოლო მისი ადგილი ყოფილმა მოადგილემ დაიკავა, რომელიც მანამდე ფინანსური კონტროლიორის მოვალეობას ასრულებდა. კომპანიას ჰყავს ასევე ახალი მარკეტინგის დირექტორი. „ზღვის ნიჟარებში“ მოსვლამდე იგი ევროპის ერთ-ერთი მსხვილი მარკეტინგული საკონსულტაციო კომპანიის წამყვანი სპეციალისტი იყო.

მოგეთხოვებათ:

ა) მენედლოუს თეორიის ახსნა, დაინტერესებულ მხარეთა ძალაუფლების შესახებ. პროდუქტების შეფუთვის საქმიანობის სხვა ქვეყანაში გადატანის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებით დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე თითოეული ჯგუფის რეაქციის შეფასება; **(14 ქულა)**

ბ) სოციალურ პასუხისმგებლობაზე გრეის, ოუენისა და ადამსის პოზიციების გათვალისწინებით, პროდუქტების შეფუთვის სხვა ქვეყანაში გადატანის შესახებ გადაწყვეტილების შეფასება; **(14 ქულა)**

გ) საბჭოსთვის მოხსენებითი ბარათის მომზადება, რომელიც მოიცავს:

(1) „მდგრადობის“ კონცეფციის ახსნას; **(2 ქულა)**

(2) შეფასებას იმისა, თუ რამდენად შეიძლება „ზღვის ნიჟარების“ ქმედებები ჩაითავლოს მდგრადად; **(5 ქულა)**

(3) ანგარიშების მომზადების იმ მეთოდების შეფასებას, რომლებიც „ზღვის ნიჟარების“ მიერ შეიძლება იქნას გამოყენებული საკუთარი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების ახსნისას. **(7 ქულა)**

(„გ“ ნაწილი ასევე მოიცავს 4 პროფესიონალურ ქულას)

დ) კორპორაციული მართვის ახსნა, დირექტორთა ანაზღაურების კუთხით. შეფასება, თუ რამდენად შეესაბამება „ზღვის ნიჟარებში“ არსებული ანაზღაურების სისტემა ამ მოთხოვნებს. საჭიროების შემთხვევაში, ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციების მომზადება. **(4 ქულა)**

(სულ 50 ქულა)

B ნაწილი – მხოლოდ 2 კითხვას უნდა გაეცეს პასუხი

მე-2 კითხვა

„ეიჩ-აი-თი“ საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთაშორისო კომპანიაა, რომელიც ე.წ. „დოთ-კომ ბუმის“ პერიოდში, 1990-იან წლებში დაარსდა. დამფუძნებელთა სიფრთხილის გამო, იგი სხვა კომპანიებისაგან განსხვავებით, თავიდანვე სწრაფად არ გაფართოებულა. შედეგად, გარე დაფინანსების მოძიება არ ხორციელდებოდა, გარდა „სარისკო“ კაპიტალისა. კომპანიამ კარგად მოიკიდა ფეხი საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორში და ათასწლეულის დასაწყისიდან წარმატებულად საქმიანობს.

ბოლო პერიოდში კომპანიის დირექტორებმა კომპანიის გაფართოება გადაწყვიტეს, როგორც შიდა გაფართოების (აქტივების ზრდა კომპანიის შიდა დაფინანსებით), ისე სხვა კომპანიის აქციების შეძენის გზით. დირექტორებს ესმით, რომ კომპანიას გარე დაფინანსება ესაჭიროება და სწამთ, რომ მალე შეძლებენ რომელიმე საფონდო ბირჟაზე კოტირებას.

საბჭოს თავმჯდომარეს ესმის, რომ საფონდო ბირჟაზე კოტირებისთვის კომპანიის კორპორაციული მართვის სტრუქტურა უფრო ფორმალური უნდა გახდეს. ამჟამად, კომპანიის საბჭო მხოლოდ მფლობელებისა და სარისკო კაპიტალის მომწოდებელთა წარმომადგენლებისაგან შედგება. საბჭოს თავმჯდომარეს ასევე კარგად ესმის, რომ საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირების შემთხვევაში, საჭირო იქნება საბჭოში არააღმასრულებელ დირექტორთა არსებობაც, თუმცა, მისთვის გაურკვევლია მათი როლი და ის, თუ რატომ უნდა იყოს მათი უმეტესობა დამოუკიდებელი.

გარდა ამისა, საბჭოს თავმჯდომარეს აშფოთებს საბჭოს ბოლო სხდომაზე აღმასრულებელი დირექტორების მიერ გამოთქმული შენიშვნები:

„საბჭოს ერთიანობისათვის საჭიროა დირექტორების ანაზღაურების საბჭოს სრული შემადგენლობით დადგენა. ნებისმიერი სხვა ქმედება გაუგებრობებს გამოიწვევს.“

„ვინაიდან ფინანსურ დირექტორს დიდ თანხას ვუხდით, საჭიროა მისგან ზუსტ ციფრებს ვიღებდეთ. კომპანიის ფარგლებს გარეთ მოღვაწე აუდიტორები ნებისმიერ შეცდომას აღმოაჩენენ.“

„საჭიროა, რომ ყველა ახალი დირექტორი საბჭოს კარგად მოერგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭოს ერთიანობა დაირღვევა. კანდიდატურები საბჭომ ერთიანი ძალებით უნდა შეარჩიოს და გაესაუბროს მათ.“

კომპანიის საბჭოს თავმჯდომარე, ბოლო პერიოდში, არაოფიციალურად ესაუბრა პიროვნებას, რომელიც არააღმასრულებელი დირექტორის პოზიციითაა დაინტერესებული. ამ პიროვნებამ გამოთქვა სურვილი, გამხდარიყო კომპანიის არააღმასრულებელი დირექტორი, თუმცა, ანაზღაურების ნაწილს იგი აქციების ან აქციათა ოფციონების სახით ითხოვს.

მოგეთხოვებათ:

ა) საბჭოს პოზიციის, სასურველი არააღმასრულებელი დირექტორის მახასიათებლებისა და მისი როლის ახსნა, საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებული კომპანიის კორპორაციული მართვის კუთხით;

(7 ქულა)

ბ) დამოუკიდებელ და არადამოუკიდებელ არააღმასრულებელ დირექტორებს შორის არსებული განსხვავების ახსნა;

(3 ქულა)

გ) კორპორაციული მართვის იმ საკითხების შეფასება, რომლებიც კომპანიის საბჭოს ბოლო სხდომაზე გაკეთებულ შენიშვნებთანაა დაკავშირებული. ასევე საბჭოს თავმჯდომარისთვის რეკომენდაციის მომზადება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეუძლიათ არააღმასრულებელ დირექტორებს პრობლემების გადაწყვეტა; **(11 ქულა)**

დ) არააღმასრულებელი დირექტორებისათვის აქციების ან აქციათა ოფციონების სახით გასამრჯელოს გადახდის საწინააღმდეგო არგუმენტების განხილვა.

(4 ქულა)

(სულ 25 ქულა)

მე-3 კითხვა

კომპანია „ჰუდი“ მოსასხამების, სპორტული ქურთუკების, წყალგამძლე შარვლებისა და სხვა ქალაქგარეთ ჩასაცმელი ტანსაცმლის ერთ ქვეყანაში მდებარე 56 მაღაზიაში გაყიდვითაა დაკავებული. კომპანიის საქმიანობა წარმატებულია, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მაღაზიის საერთო მოგება გაურკვეველი მიზეზებით შემცირდა.

თითოეული მაღაზია ინვენტარის აღრიცხვაზე კონტროლის შენარჩუნებისათვის „ელექტრონულ გაყიდვის პუნქტებს“ (EPOS) იყენებს, ხოლო გადახდებისას – „გაყიდვის პუნქტში თანხის ელექტრონულ გადარიცხვას“ (EFTPOS). ამასთან, საქმიანობის 55% ნაღდი ფულის გადახდის შედეგად წარმოებს. დეტალები გაყიდვების შესახებ და დადგენილ მინიმუმზე დაბლა არსებული მარაგის შესახებ ინფორმაცია ყოველდღიურად სათავო ოფისში იგზავნება, სადაც მმართველობითი ანგარიშები მზადდება.

მარაგი სათავო ოფისიდან გამოიწერება, თითოეული მაღაზიის მიერ მომზადებული ყოველდღიური მმართველობითი ინფორმაციის საფუძველზე. შეკვეთები მიმწოდებლებს ფოსტით ეგზავნებათ. მარაგი თითოეულ მაღაზიას გამოწერიდან (მარაგის მინიმალური ზღვრის მიღწევიდან) 10 დღეში მიეწოდება.

ერთ-ერთ გაზეთში დაბეჭდილი ინფორმაციით, მზის შუქზე დიდი ხნის დების შემდეგ, წყალგამძლე შარვლები ტოქსიკურ ნივთიერებას გამოყოფენ. საბჭო აღნიშნულ ფაქტს იძიებს, თუმცა, ამ საკითხისადმი სკეპტიკურადაა განწყობილი. პროდუქცია მაინც წარმატებით იყიდება, იმის მიუხედავად, რომ ტანსაცმლის დიზაინში ბოლო 4 წლის მანძილზე სიახლე არ ყოფილა.

მოგეთხოვებათ:

ა) „ჰუდის“ წინაშე არსებული რისკების ახსნა; სტრატეგიული და ოპერატიული რისკების იდენტიფიცირება; **(10 ქულა)**

ბ) თითოეული რისკის პოტენციური ეფექტის შეფასება და ამ ეფექტების მინიმიზაციის შესახებ რეკომენდაციების მომზადება. **(15 ქულა)**

(სულ 25 ქულა)

მე-4 კითხვა

„ელ-ემ-ენი“ საქველმოქმედო ორგანიზაციაა, რომელიც დაბალშემოსავლიან ადამიანებს იაფფასიანი საცხოვრებლებით უზრუნველყოფს. მთავრობამ ამ სექტორში სახლების მშენებლობის, მართვისა და კომუნალური მომსახურების პრივატიზაცია მოახდინა. სექტორი მკაცრად რეგულირდება და მთავრობისგან ფინანსდება, თუმცა, ბანკებისგანაც იღებენ სესხებს, რომლებიც ახალი სახლების აშენებას ხმარდება და რომელთა გასტუმრება მომავალში გაქირავების შედეგად მიღებული თანხით ივარაუდება. მთავრობა დაბალშემოსავლიანი მაცხოვრებლებისთვის დახმარებას გამოყოფს, ქირის გადასახდელად.

„ელ-ემ-ენის“ საბჭომ ძირითადი რისკების იდენტიფიცირება მოახდინა: დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანების მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი საცხოვრებლის ნაკლებობა, ინვესტიციებთან დაკავშირებული არასწორი გადაწყვეტილებები, შენობის არასათანადო მოვლის გამო უკმაყოფილო დამქირავებლების არსებობა, მარეგულირებლის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, სესხის არახელსაყრელი საპროცენტო განაკვეთის არსებობა, დანახარჯების არაეფექტური კონტროლი, ქირისთვის გაუმართლებელი ვალების აღება, გაუქირავებელი ფართობების არსებობა, რომელთაც შემოსავალი არ მოაქვთ. კომპანიამ, რისკის მართვის ფარგლებში, შემოიღო რისკის რეესტრი. რისკის რეესტრის დანიშნულებაა 200-ზე მეტი რისკიდან თითოეულის აღწერა, მისი რეალიზების ალბათობისა (მაღალი, საშუალო, დაბალი) და რეალიზების შემთხვევაში, მოსალოდნელი შედეგების (დიდი, საშუალო, მცირე) შეფასება.

„ელ-ემ-ენი“ იმართება საცხოვრებლების მშენებლობაში, მართვასა და მოვლაში, ასევე ფინანსურ მართვაში გამოცდილი, კვალიფიციური ხელმძღვანელების მიერ. კომპანიის საბჭო სოციალური კეთილდღეობის სფეროში დიდი გამოცდილებისა და ინტერესის მქონე მოხალისეებითაა დაკომპლექტებული. საბჭო საზოგადოების, მაცხოვრებლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მოიცავს, რომელთაგან ნებისმიერი შეიძლება იყოს აქციონერი (აქციონერობა ნომინალურია და კომპანია დივიდენდებს არ იხდის). ადგილობრივი ხელისუფლება აღნიშნული ტერიტორიის მასშტაბით სოციალურ კეთილდღეობასა და საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფაზეა პასუხისმგებელი. „ელ-ემ-ენის“ აუდიტის კომიტეტი, რომელიც რისკის მართვასა და შიდა კონტროლზე აგებს პასუხს, შიდა კონტროლის ისეთი სისტემის დანერგვას აპირებს, რომელიც უფრო მეტადაა დაკავშირებული რეესტრში იდენტიფიცირებულ და აღრიცხულ რისკებთან.

მოგეთხოვებათ:

„ელ-ემ-ენის“ მსგავსი ორგანიზაციისთვის:

ა) რისკის მართვის დანიშნულებისა და მნიშვნელობის ანალიზი. ასევე რისკის მართვის შიდა კონტროლის სისტემასთან კავშირის ახსნა; **(9 ქულა)**

ბ) აუდიტის კომიტეტისათვის კონტროლის მექანიზმების მიმოხილვის მნიშვნელობის განხილვა; **(5 ქულა)**

გ) წარმატებული კორპორაციული მართვის პრინციპების ახსნა, რომლებიც საბჭოს შემდეგ ფუნქციებს ეხება:

(1) შიდა კონტროლის მექანიზმების მიმოხილვა; და

(2) კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ ანგარიშის მომზადება.

პასუხი უნდა მოიცავდეს სცენარში მოცემულ მაგალითებს. **(სულ 25 ქულა)**